ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63222714**
თარიღი: **28/09/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ნუგზარ ჯამბურიას,

ამავე საკრებულოს განათლების, კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი მელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ნუგზარ,

წარმოგიდგენთ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის, მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეულ (შესრულებულ) სამუშაოებს.

მოგეხსენებათ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილებით დამტკიცებულია ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულება. ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N 63220954 ბრძანებით დამტკიცებულია განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა. რომლითაც განსაზღვრულია კომისიის ძირითადი სამუშაოები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 9 სხდომა. აქედან, 2 (ორი) სხდომა ჩატარდა გაერთიანებული საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიასთან და 1 (ერთი) სხდომა ჩატარდა გაერთიანებული ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიასთან. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული იქნა 8 განკარგულება და 1 დადგენილება. ასევე მოქალაქეების განცხადებები.

მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'', ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში (ქუჩებზე, ჩიხებზე, სკვერებზე და ა.შ) სახელის მინიჭებას.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N63.63222484 განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიში, N1 და N2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ''.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N63.63222485 განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ

დიდი ჯიხაიში, N15 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ვლადიმერ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ, განიხილა სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას, სახელის მინიჭების საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს. სამინისტროს თანხმობის შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 20 დეკემბერს N63.632135440 განკარგულებით ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'', დაბლა გომის საჯარო სკოლას მიენიჭა ტარიელ ჩაჩუას სახელი.

საქრთველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის თანახმად, 2022 წლის 25 მარტს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის 6 (ექვსი) თვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (ანგარიში საკრებულოს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული).

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N 63220954 ბრძანებით დამტკიცებული განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ -ებთან. კერძოდ:

1. საჭიდაო კლუბი ფალავანი.

2. კომპლექსური სპორტული სკოლა.

3. რაგბის კლუბი ფენიქსი.

4. კლუბი ჯიკო.

5. ხელბურთელთა კლუბი სამტრედია.

6. შ.პ.ს სპორტ კომპლექსი სამტრედია.

7. საცხენოსნო კლუბი.

ა(ა)იპ წარმოადგინეს ანგარიშები 2022 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ. აქვე მოაგხსენებთ, რომ კომისია აგრძელებს ა(ა)იპ-ებთან მუშაობას როგორც გაწეულ მუშაობაზე ასევე სამომავლო გეგმებზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები როგორც სპორტული ასევე საგანმანათლებლო. მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართულ აღნიშნულ ღონისძიებებში.

ასევე განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა მოქალაქეების განცხადებები. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებლობების ფარგლებში გაეწით დახმარება და კანონის შესაბამისად, მოყვა შემდგომი რეაგირება.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით, აგრძელებს მუშაობას.

პატივისცემით,

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა